დანართი 6

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

78379195193117

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N170396620

რეგისტრაციის თარიღი

18.04.2017 წ

ნოტარიუსი: თინათინ დევდარიანი
მისამართი: ქ. თბილისი, ი. აბაშიძის ქუჩა N39
ტელეფონი: 229-35-11

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge
ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო აქტი

საქართველო

ქ. თბილისი

ორიათასჩვიდმეტი წლის თვრამეტ აპრილს მე, ნოტარიუს თინათინ დევდარიანს, სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, ირ.აბაშიძის №39, ბინა №23-ში, მომმართა *ეკა ასათიანმა,* რომელმაც განაცხადა, რომ არის *„პარკ გეითის“ თავმჯდომარე* და *სურს ამხანაგობის სახელით* სანოტარო აქტის (რწმუნებულების) შედგენისა და მისი სანოტარო წესით დადასტურების ნება. მე დავადგინე მისი პირადობა, მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი რომ მე ნამდვილად მომმართა *ეკა ასათიანმა (დაბადებული* 21.01.1971 *წელს თბილისში. პირადი № 12003000437, მცხ:* **თბილისი ი.ჭავჭავაძის გამზ. N 80 ბლოკი I ბ. 11**). მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და დავრწმუნდი, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მაქვს. შემდეგ დავადგინე მისი უფლებამოსილება, იგი უფლებამოსილია წარმოადგინოს ამხანაგობა „ *პარკ გეითი* “-ს თანახმად 24.04.2016 წლის განმეორებითი საერთო კრების ოქმისა №24.04.2016, დამოწმებული ნოტარიუს სოფიკო გობეჯიშვილის მიერ 03.06.2016 წელს რეესტრის №160595254) მე დავადგინე მისი ნების გამოვლენის ნამდვილობა და შემდეგ შევადგინე წინამდებარე რწმუნებულების ტექსტი. *მან* წაიკითხა წინამდებარე ტექსტი და განვუმარტე მას ამ რწმუნებულების სამართლებრივი შედეგები, რაზეც მან მკაფიოდ და ნათლად განაცხადა, რომ წინამდებარე მინდობილობა ზუსტად გამოხატავს მის ნებას და ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი მას, რასაც ვადასტურებ.

რ წ მ უ ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

ორიათასჩვიდმეტი წლის თვრამეტ აპრილს, *ამხანაგობა „ პარკ გეითის“-მა* წარმოდგენილი მისი თავმჯდომარის *ეკა ასათიანის* სახით, *შემდგომში წოდებული „მარწმუნებელი“* წინამდებარე მინდობილობით *დავით კაკიოშვილს (დაბ.* 28.04.1992 *წელს თერჯოლაში, პირადი № 21001038536, მცხ:* **თერჯოლა დ.კლდიაშვილის ქ. N 1**), *ანი ჩოჯელიანს* (*დაბ. 05.01.1993, რუსთავში, პირადი №35001119933, მცხ: რუსთავი გათუმის ქ. კორ. 23 ბ. 5*) და *სალომე მელაძეს* (დაბ. 15.01.1991წელს, ქუთაისში, პირადი № 01008021739, მცხ: **საქართველო, ქალაქი თბილისი, ოთარ თაქთაქიშვილის ქუჩა, N 3/43, ბინა 32**) შემდგომში წოდებული რწმუნებულები, როგორც ერთობლივად ასევე ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად მიანიჭა შემდეგი უფლებამოსილება:

1. რწმუნებულები იცავენ მარწმუნებლის ქონებრივ და არაქონებრივ ინტერესებს და მარწმუნებელს წარმოადგენს ყველა ინსტანციის სასამართლოში, მერიასა და მის სამსახურებში, კერძო და/ან სახელმწიფო სააღსრულებლო ბიუროში, ნოტარიუსთა პალატაში, სანოტარო ბიუროებში, სახელმწიფო დაწესებულებებთან, ადმინისტრაციულ ორგანოებთან (მათ შორის საგადასახადო ინსპექციაში, ფინანსთა სამინისტროში, იუსტიციის სამინისტროში, საჯარო რეესტრში და მის სამსახურებში, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოში და მის სამსახურებში, სახალხო დამცველის აპარატში და სხვა.) ურთიერთობებში. აღნიშნულ ორგანოებში შეიტანოს, გამოითხოვოს და მიიღოს ყველა სახის განცხადებები და დოკუმენტები, აწარმოოს შესაბამისი სამოქალაქო და/ან ადმინისტრაციული საქმე.
2. აღნიშნული რწმუნებულების განსახორციელებლად რწმუნებულები უფლებამოსილნი არიან, მარწმუნებლის სახელით შეასრულონ ყველა საჭირო მოქმედება და პროცედურა, რაც დადგენილია საქართველოს კანონმდებლობით, მათ შორის: მარწმუნებლის სახელით შეიტანონ განცხადება და/ან სარჩელი, გაასაჩივრონ სახელმწიფო დაწესებულებათა და სასამართლოს ნებისმიერი გადაწყვეტილება, შეიტანონ სააპელაციო და საკასაციო საჩივარი, ხელი მოაწერონ მარწმუნებლის მაგივრად ყველა დოკუმენტს, შეცვალონ სარჩელის საგანი, მთლიანად ან ნაწილობრივ სცნონ და უარყონ სარჩელი, გამოიხმონ სარჩელი, აწარმოონ სააღსრულებლო საქმე, სასარჩელო მოთხოვნაზე მთლიანად ან ნაწილობრივ თქვან უარი, დაამთავრონ საქმე მორიგებით, მიიღონ მონაწილეობა მოლაპარაკებებში, შეიტანონ კანონმდებლობით დადგენილი ბაჟი და აიღონ იგი.
3. არავინ არ შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს რწმუნებულის უფლებამოსილება იმის გამო, რომ წინამდებარე რწმუნებულებაში რწმუნებულების უფლებები ამომწურავად არ არის ჩამოთვლილი. რწმუნებულები უფლებამოსილნი არიან შეასრულონ სხვა მოქმედება, რაც პირდაპირ არ არის მითითებული ამ რწმუნებულებაში, მაგრამ აუცილებელია მარწმუნებლის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად.
4. რწმუნებულები ვალდებულნი არიან რწმუნებულებით მინიჭებული უფლებამოსილება განახორციელონ კეთილსინდისიერად და გულისხმიერებით, მარწმუნებელს მიაწოდონ ცნობები დავალების მიმდინარეობის შესახებ, შესრულების შემდეგ კი ჩააბაროს ანგარიში.
5. მარწმუნებელი ვალდებულია გადაიხადოს დავალების შესასრულებლად ყველა საჭირო ხარჯი.
6. რწმუნებულება შეიძლება ვადამდე შეწყდეს ერთ-ერთი მხარის ინიციატივით მეორე მხარისათვის წინასწარი შეტყობინებით. თუ რწმუნებულმა ხელშეკრულება მაშინ შეწყვიტა, როცა მარწმუნებელი

მოკლებული იყო შესაძლებლობას, სხვაგვარად დაეცვა მისი ინტერესები, რწმუნებულები ვალდებულნი არიან მარწმუნებელს აუნაზღაურონ ზარალი, გარდა იმ შემთხვევისა როცა რწმუნებულს ამისათვის მნიშვნელოვანი საფუძველი ჰქონდა.
7. „რწმუნებულები“ უფლებამოსილნი არიან რწმუნებულებით მინიჭებული უფლებები გადასცენ სხვა პირებს.

წინამდებარე მინდობილობა გაცემულია ერთი წლის ვადით და ძალაშია 2018 წლის 18 აპრილის ჩათვლით.
ახლავს დანართი: ამხანაგობა „ *პარკ გეითი* “-ს თანახმად 24.04.2016 წლის განმეორებითი საერთო კრების ოქმისა №24.04.2016, დამოწმებული ნოტარიუს სოფიკო გობეჯიშვილის მიერ 03.06.2016 წელს რეესტრის №160595254)

ეს მინდობილობა შედგენილია სამ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი რჩება ნოტარიუსის, თინათინ დევდარიანის, სანოტარო არქივში, ხოლო დანარჩენი გადაეცა მარწმუნებელს.

[illegible]

(1) [illegible]

გადახდილია საზღაური *10-00 (ათი) ლარი,* 2011წლის 29 დეკემბრის საქართველოს მთავრობის №507 დადგენილების, „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" 31-ე მუხლით და 2 ლარი „სანოტარო რეგისტრაციის საფასური‘ ზემოთმითითებული დადგენილების 39-ე მუხლის მოთხოვნით, ასევე საქართველოს საგადასახადო კოდექსის მუხლების მოთხოვნათა შესაბამისად 1.80 ლარი დღგ, სულ 13.80 (ცამეტი ლარი და ოთხმოცი თეთრი) ლარი.

ნოტარიუსი თინათინ დევდარიანი

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა პარკ-გეითის

განმეორებითი საერთო კრების ოქმი # 24/04/2016

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა პარკ-გეითის (ამხანაგობა) წევრთა განმეორებითი საერთო კრება (კრება) ჩატარდა 2016 წლის 24 აპრილს, მისამართზე ჭავჭავაძის გამზ.80, თბილისი. კრება დაიწყო 19:00 საათზე და დასრულდა 21:00 საათზე.

კრება მოწვეული იქნა ამხანაგობის თავმჯდომარე ე. ასათიანის მიერ, ჭავჭავაძის გამზ.80, კორპუსებში განცხადების გამოკვრის გზით.

კრების თავმჯდომარედ არჩეული იქნა კობა ამირხანაშვილი, ხოლო მდივნად ამხანაგობის წევრი მაია ცინცაძე.

კრება ჩაირთვალა 2016 წლის 20 აპრილს ჩატარებული კრების განმეორებით კრებას იმავე დღის წესრიგით, რის გამოც გადაწყვეტილებები იყო დამსწრე წევრთა რაოდენობის მიუხედავად, კრება მოწვეული იქნა კანონისა და ამხანაგობის წესდების მოთხოვნების სრული დაცვით, რის გამო არცერთ დამსწრე წევრს პრეტენზია არ გამოუთქვამს.

კრებას ესწრებოდნენ ამხანაგობის წევრები.

1) მ. ჭიჭინაძე 7კ. ბ.1
2) კ.გოგიჩაიშვილი 3კ.ბ11
3) მ. ცინცაძე 1კ. ბ.1
4) კ. ამირხანაშვილი 2კ.ბ18
5) ლ. სხირტლაძე 4კ. ბ1
6) გ.ელიზბარაშვილი 3კ.ბ14
7) ა. მეკოკიშვილი 3კ.ბ.17
8) ი.კორძახია 6კ.ბ
9) ა.დოლიძე 3კ.ბ.
10) გ.ქოიავა 6კ. ბ.
11) გ.ვარდიგორელი 3კ.ბ1
12) ე. ასათიანი 1კ.ბ.11
13) ნ.ნათბილაძე 7კ. ბ.
14) მ. თავაძე 5კ.ბ.7
15) თ. სარალიძე 3კ.ბ.12
16) გ. ქუმსიაშვილი 2კ.ბ.10
17) ზ. დავითაშვილი 1კ.ბ.3
18) გ. მახათაძე 5კ.ბ.20
19) გ. ბახსოლიანი 6კ.ბ.20
20) გ. სხირტლაძე 5კ.ბ.2
21)მ. გოგრიჭიანი 6კ.ბ.12
22)ნ. ჯაფარიძე 7კ.ბ.3
23) დ. კალანდაძე 7კ.ბ.6
24) ქ. ჯიბჭარაძე 2კ.ბ.5
25) ლ. ნადარეიშვილი 2კ.ბ.7
26) ნ. მედულაშვილი 2კ.ბ.2

კრების თავმჯდომარემ წევრებს გააცნო კრების დღის წესრიგი

დღის წესრიგით გათვალისწინებულია შემდეგი საკითხები:

1. გამგეობის წევრების არჩევა
2. დაცვის უნიფორმები
3. მანქანების პარკირების მოწესრიგება,კამერების ჩამწერი სისტემის წესრიგში მოყვანა.
4. აუდიტი
5. მე-7 კორპუსის მიმდებარე ტერიტორიის გამწვანება
6. ამხანაგობის თავჯდომარის ვადის გაგრძელება, ან ახალი თავჯდომარის არჩევა
7. პარკ-გეითის ბეჭდის დამტკიცება

კრებამ იმსჯელა დღის წესრიგის საკითხებზე. ფარული კენჭისყრით არჩეული იქნა გამგეობის 7 წევრი:

1. კორპუსი #1--- მაია ცინცაძე
2. კორპუსი #2----ლიკა ნადარეიშვილი
3. კორპუსი #3----არსენ მკოკიშვილი
4. კორპუსი #4---- ლექსო სხირტლაძე
5. კორპუსი #5---- გურამ სხირტლაძე
6. კორპუსი #6----ირაკლი კორძახია
7. კორპუსი #7---- ნინო ჯაფარიძე

ამხანაგობის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი:აუდიტის მოწვევას, დაცვის უნიფორმების შეძენას,მანქანების პარკირების მოწესრიგებას, ამხანაგობა პარკ-გეითის ახალი ბეჭდის დამტკიცებას და კამერების წესრიგში მოყვანას.

რაც შეეხება გამწვანების საკითხს, კრებამ მიიღო გადაწყვეტილება,რომ 300 კვ.მ-ზე დაირგოს ბალახის ბელტი და ბილიკის გაყოლებაზე ჩაირგოს სწრაფად მზარდი ნერგები.

საერთო კრებაზე ამხანაგობის თავჯდომარის თანამდებობაზე წარდგენილი იყო 3 კანდიდატი:

1. ამხანაგობის მოქმედი თავჯდომარე- ეკა ასათიანი
2. ამხანაგობის წევრი- ალეკო დოლიძე
3. ამხანაგობის წევრი-გოგა ვარდიგორელი

გოგა ვარდიგორელმა, საკუთარი სურვილით მოხსნა კანდიდატურა.

კრების თავჯდომარემ, ღია კენჭისყრით ჩაატარა ამხანაგობის თავჯდომარის არჩევნები, რომლის შედეგადაც, ამხანაგობის საერთო კრების გადაწყვეტილებით, ამხანაგობის მოქმედ თავჯდომარე ეკა ასათიანს უფლებამოსილების ვადა გაუგრძელდა 1 წლით. (16 მომხრე, 6 წინააღმდეგი, თავი შეიკავა-2)

24/04/2016

კრება დასრულდა 21:00 საათზე

ამხანაგობის კრების თავმჯდომარე კ. ამირხანაშვილი

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N160595254
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	03.06.2016 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება
ნოტარიუსი	სოფიკო გობეჯიშვილი
სანოტარო ბიუროს მისამართი	თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. N 49, კვარტალი I, კორპუსი 3,ბინა N1
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	2 725310
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	05156933177416

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

ორი ათას თექვსმეტი წლის სამ ივნისს ჩემთან, ნოტარიუს**სოფიკო გობეჯიშვილთან**, სანოტარო ბიუროში, მდებარე ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. №49 კვარტალი I, კორპ. 3, ბინა №1, გამოცხადდა **კობა ამირხანაშვილი** (დაბადებული *05.08.1954წ.* პირადი №*01009001196*, რეგისტრირებული მისამართზე: თბილისი, ალ. ჭავჭავაძის ქ. №10ა, ბინა 2). მან წარმომიდგინა წინამდებარე **ბმა პარკ-გეითის განმეორებითი საერთო კრების ოქმი # 24/04/2016** და მოითხოვა მასზე თავისი ხელმოწერის ნამდვილობის სანოტარო წესით დამოწმება. მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის საფუძველზე, ქმედუნარიანობა შევამოწმე და დავრწმუნდი რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონია. ხელმომწერს ნოტარიუსის მიერ განემარტა, რომ ნოტარიუსი ადასტურებს **მხოლოდ** მის ხელმოწერის ნამდვილობას და ტექსტის შინაარსსა და სამართლებრივ შედეგებზე პასუხს არ აგებს. ამის შემდეგ მან პირადად მოაწერა ხელი წინამდებარე დოკუმენტის ორ ეგზემპლარს.

გადახდილია სანოტარო მომსახურეობის საზღაური 4 (ორი) ლარი („სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ“ 2011 წლის 29 დეკემბრის საქართველოს მთავრობის №507 დადგენილების მუხლი 31.3-ის თანახმად) და რეგისტრაციის საფასური 2 (ორი) ლარი (ამავე დადგენილების მუხლი 39.1-ის თანახმად). **სულ გადახდილია 6 (ექვსი) ლარი.**

ნოტარიუსი /სოფიკო გობეჯიშვილი/

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N170396566
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	18.04.2017 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	დოკუმენტის ასლის დამოწმება
ნოტარიუსი	თინათინ დევდარიანი
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქ. თბილისი, ი. აბაშიძის ქუჩა N39
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	229-35-11
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	00812529835617

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

საქართველო

ქ. თბილისი

მე, ნოტარიუსი თინათინ დევდარიანი, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, ირ. აბაშიძის ქ. №39, ბინა №23-ში ვამოწმებ წინამდებარე ფოტოასლის შესაბამისობას მის წარმოდგენილ დედანთან. დედანში ამოშლილი, ამოფხეკილი, მიწერილი, გადახაზული (გადაშლილი) სიტყვები, წინადადებები და სხვა აღუნიშნველი გასწორებანი არ არსებობს. ნოტარიუსის მიერ ასლის შესაბამისობის დამოწმება არ ნიშნავს დოკუმენტის დედნის კანონიერებისა და ნამდვილობის გადამოწმებას, რაც შესაბამისად ნოტარიუსს ათავისუფლებს დოკუმენტის დედნის კანონთან შესაბამისობისა და მისი ნამდვილობის გადამოწმების პასუხისმგებლობისაგან.

2011 წლის 29 დეკემბრის საქართველოს მთავრობის „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" №507 დადგენილების 31-ე მუხლით გადახდილია საზღაური 2.00 ლარი და ღ.ღ.ტ. 0.36 ლარი. საქართველოს საგადასახადო კოდექსის მოთხოვნათა შესაბამისად, სულ 2.36 ლარი.

ნოტარიუსი

თინათინ დევდარიანი



სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N170489797
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	08.05.2017 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	**დოკუმენტის ასლის დამოწმება**
ნოტარიუსი	**დავით ოყროშიძე**
სანოტარო ბიუროს მისამართი	**ქ. თბილისი, ქეთევან წამებულის გამზ. 22/4**
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	995322745001
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	82866443831617

მე, ნოტარიუსი დავით ოყროშიძე, რომლის სანოტარო ბიუროც მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, ქეთევან წამებულის გამზ. 22/4, ვადასტურებ წინამდებარე დოკუმენტის- მინდობილობის (დამოწმებული ნოტარიუსის თინათინ დევდარიანის მიერ 18.04.2017წ., რეესტრის ნომერი 170396620) და ბმა პარკ-გეითის განმეორებითი საერთო კრების ოქმის #24/4/2016 (ხელმოწერის ნამდვილობა დამოწმებული ნოტარიუსის სოფიკო გობეჯიშვილის მიერ 03.06.2016წ., რ/რ 160595254) ასლის (დამოწმებული ნოტარიუსის თინათინ დევდარიანის მიერ 18.04.2017წ., რ/რ 170396566) - ფოტოასლის შესაბამისობას მის დედანთან. სულ დოკუმენტი განთავსებულია ათ გვერდზე.

ასლი დამოწმდა სამ ეგზემპლარად.

საზღაური სანოტარო მოქმედების შესრულებისათვის 15.0 ლარი, თანახმად საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის N507 დადგენილების 31-ე მუხლისა, აგრეთვე დღგ – 2.70 ლარი, თანახმად საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლისა.

ნოტარიუსი:

GEORGIA NOTARY DAVID OKROSHIDZE

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18


შეკრულია და დანომრილია
ფურცლად
ნოტარიუსი:
საქართველო
დავით ოყროშიძე
ნოტარიუსი
GEORGIA
NOTARY DAVID OKROSHIDZE